ყოველდღიური გაზეთი

პროლეტარი

ადრესატისგან ეფალა კუთვნილი, ფასი

ერთეული ნომერი 5 კაპ.

ᲒᲐᲜᲦᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
თბილისი, კოლუბენშტეინის ქუჩა, № 14 ტელეფონები
საერთო — 11, 76. სტამბის — 78

რედაქცია ღია ყოველ დღე დილის 10-დან 4 სთ. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1921 Წ.

№ 92 საქართველოს პროფესიონალურ კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და საქართ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 92

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველო მხოლოდ ქართველებისათვის"

აი მუდმივი ლოზუნგი ჩვენი ნაციონალისტებისა.

ამას გაიძახოდენ გასული საუკუნის 30 წლებში დოდაშვილები, ერისთავები, ორბელიანები და სხვები და ამასვე გაჰყვირიან დღესაც „მემარცხენე" ფედერალისტებიც. მაგრამ ეს სიძველე ლოზუნგისა არაფერია, რომ ესენი დღევანდელ ეკონომიური კრიზისით არ სარგებლობდენ და ამ შიერ სიმებზე თავიანთ ეროვნულ ჰანგებს არ ეკვრებდენ.

და მართლაც, ბევრია დღეს ისეთი ქართველი, თუნდაც მშრომელი, რომელსაც არ ძალუძს აღიჭურვოს პროლეტარული სოლიდარობით, მხნეობით, გულგაუტეხლობით და თავდადებით და პირდაპირ უთხრას „მემარცხენეს": საქართველო ისევეა მთელი მშრომელი კაცობრიობის, როგორც მთელი მსოფლიო არის მშრომელი ქართველის.

ბევრია დღესაც ჩვენში მშრომელი ქართველი, რომელიც ისევ ძველებურათ ღაღინებს: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა"...

მარა ვინ არ იცის, რომ ყოველი მათგანი მზათაა არა თუ სალი კლდოვანი მიდამო, არამედ „ზურმუხტოვანიც" კი უმალ გასცვალოს არა „სხვა ქვეყნის სამოთხეზე, არამედ თავისივე ქვეყნის სამოქალაქო, მაღალკულტურულ ცხოვრებაზე. და აი ასეთ მშრომელ ქართველთან აქვთ საქმე ზემოთ დასახელებულ „მამულიშვილთ".

ამიტომ ისინი თამაშთ გაიძახიან: „საქართველო მხოლოდ ქართველებსო".

მართალია, დღეს ჩვენ ეკონომიურ კრიზისს განვიცდით, დედა ქალაქი, თბილისი სავსეა უცხო ელემენტებით და მოსალოდნელია ამ ზაფხულის თვეებში მდგომარეობის კიდევ უფრო გართულება მოსალოდნელი ეპიდემიითა გადამდები სენით და სხვა.

მაგრამ განა ყოველივე ეს იმის საბუთათ გამოდგება, რომ ჩვენ, ქართველმა ხალხმა თავის მაღალ ისტორიულ ტრადიციასაც ულალატოს და პროლეტარულ კლასობრივი სოლიდარობაც ფეხქვეშ გათელოს?

ცხადია, რომ არა!

რაშია ეს ტრადიცია და რაში უნდა გამოიხატოს პროლეტარულ-კლასობრივი სოლიდარობა, კლასობრივი ინტერესების დაცვა?

თვითონ ჩვენი უკიდურესი ნაციონალისტები ამტკიცებენ, რომ ქართველი ხალხი ისტორიულათ ყველა ხალხისა და „რჯულის" ამტანია, ყველას ერთნაირი გულუხბობით და სტუმართ მოყვარეობით უმასპინძლდება.

თვით განაციონალისტებულმა მენშევიკმა, ძველმა ლიდერმა მენშევიკური პარტიისამ, და ყვითელ ინტერნაციონალთან ერთათ განსვენებულმა, ნოე ჟორდანიამ თავის ბროშურაში—„ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი"—დაგვიმტკიცა, რომ ქართველ ხალხს არ ჩევია ვიწრო ნაციონალიზმი, ის ნაციონალისტურ კალაპოტში ვერ თავსდება და უფრო სერთაშორისაკენ, კლასობრივ სოლიდარობისაკენ მიისწრაფვის.

და სწორეთ ამიტომაა, რომ ქართველი ხალხის იდეალი და მისწრაფება სოციალური ხასიათისაა და არა ეროვნული.

ამნაირათ როცა კითხვას ვაყენებთ, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს საქართველოს მიწა-წყალი, ვინ უნდა ისარგებლოს იმ მიწა-წყლით, ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ქართველი ხალხის ზემოთ აღნიშნული უაღრესი ხასიათი და ბუნება, მისი იდეალი და მისწრაფება და ისე გადავსჭრათ ეს საკითხი.

დღეს ჩვენს ქვეყანაში მრავალი უცხო ელემენტი მოდის და ეფარება საქართველოს. სულ ერთია ხომეხია ის, რუსი, თუ თათარი, ეს ფაქტია და ამ ფაქტის წინაშე მდგომი მშრომელი ქართველი ბუნებრივათ იკითხავს: ვინ არიან ეს უცხო ელემენტები? არიან ისინი მშრომელნი, თუ ამ საჩარჩოთ, საფეოქვნელათ და ხალხის საყვლეფათ ან მუქთახორის და ზურმუხტოვან ბულვარების „მტკეპნელთა" როლში გამოსასვლელათ ჩამოსულნი?

თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, ასეთ ელემენტებს ქართველ მშრომელ ხალხთან არაფერი საერთო აქვს და მაშასადამე ისინი დაუყონებლივ გაძევებული უნდა იქნან საქართველოს ტერიტორიიდან.

მაგრამ სულ სხვაა, თუ უცხონი შრომის ისეთივე შვილები არიან, როგორც თვით ქართველნი. მაშინ ქართველი მშრომელი ხალხი და მასთან ერთათ მისი გამომხატველი მუშურ გლეხური მთავრობა მოიმარჯვებს სულ სხვა თვალსაზრისს და ნაციონალ პროლეტარული პრინციპის მიხედვით გადაჭრის ამ საკითხს.

მუშათა კლასის ცხოვრებაში ხშირია შემთხვევა, როცა მუშა ხელი ერთი ადგილიდან მეორეში გადადის, ერთი სამრეწველო რაიონიდან მუშათა მასები მეორეში გადადიან. ამით, ცხადია, თუ ამ მეორე რაიონში მუშა ხელი სპრობობს და სამუშაო მცირეა, მაშინ პირიქით ცდილობენ ამ რაიონიდან გაიყვანონ ზედმეტი მუშა ხელი და არა მიუმატონ კიდევ მას.

ეს წესი თუ სრულდება კაპიტალისტურ სახელმწიფოში პროფკავშირების საშუალებით, დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში უნდა შესრულდეს თვით სახელმწიფოს მიერ და ეს მით უფრო, რომ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლათ როგორც ნაწარმოების ისე მოთხოვნილების და მუშა ხელის სისწორით და ზედმეწევნით წინასწარი აღრიცხვა-აღნუსხვა უდევს: მისი ეკონომიკის საფუძველი წინასწარ შემუშავებული და ანგარიშ აწონ ლ დაწონილი გეგმით მუშაობაა.

ამიტომ, ცხადია, თუ საქართველოს ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესებას და საბჭოთა აღმშენებლობას გზრეშე ხალხთა მშრომელ შვილების შემოსვლა არ შველის და დახმარების ნაცვლათ საქმეს რევს, ხელს უშლის და ვნებს, მაშინ მიდეულ იქნება ზომები თვით მუშურ-გლეხური მთავრობისაგან, რომ ასეთ არევ დარევას რესპუბლიკაში ადგილი არ ჰქონდეს.

ეს საინტერესო ჭეშმარიტებაა, რომლის აუცილებლობას დღეს ძუძუ მწოვარი ბავშვებიც კი გრძნობენ.

მაგრამ საქმე ამაში როდია: ნაციონალისტებს სურთ საქართველოს მაწყალზე არც ერთმა უცხოელმა არ იბოგინოს, არ მოხნას, არ დათესოს საქართველოს ზურმუხტოვანი ველები, არ იმუშაოს მის ფაბრიკა-სახელოსნოებში და განსაკუთრებით არ გაეკაროს მის საბჭოთა დაწესებულებებს.

აი რას მოითხოვენ ისინი თავისი ვითომდა უტყუარი ლოზუნგებით!

ქართველ ხალხს გულახდილობა უყვარს და ჩვენც მათ პირდაპირ ვეტყვით: არა, ჩვენ მშრომელს, თუ ჩვენში სამუშაო ჯგ ვს და მას ჩვენივე ძალღონით ვერ ვუსწორდებით, ვერ ვასრულებთ, შრომაზე უარს ვერ ვეტყვით. ვერ ვეტყვით ისევე, ვით ჩვენებურ მშრომელთ, თუ გინდ უცხოეთში მყოფთაც, უარს ვერ ეტყოდენ, თუ მის შრომას ამ უცხოეთის საბჭოთა რესპუბლიკა საჭიროებს.

საბჭოთა რუსეთის პრესა

ჩვენი ბანდიელები და შუანელები.

ესერები აღფრთოვანებული არიან ბანდიტების თარეშით. „ღელავს გლეხობა, როგორც აბობოქრებული ზღვა"-ო სწერია „ვოლია როსიის" 199 №-ში. მართალია, გარდა „აჩეღობისა, ცარცვა-გლეჯისა მხეცურ მკვლელობისა და უაზრო რყევა-ნგრევისა მათ მოქმედებაში ჯერ ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ესერები იმედოვნებენ და ამბობენ, რომ „ეს პროცესი (ბანდიტიზმი და „აჩეღობა) რუსეთში გადაწვავს და მოწყენდს ნიადაგს, რომელზედაც, ბოლშევიკების განდევნის შემდეგ, აღმოცენდება „ახალი რუსეთი"-ო. „ამიტომ", დასძენს გაზეთი „ეს მოძრაობა დირსია დიდი ყურადღების; აი, ამ აბობოქრებულ გლეხობის სტიქიაში შეტანილ უნდა იქნას საორგანიზაციო და შემოქმედებითი ლოზუნგები. ვისაც სურს ახალი რუსეთის აღდგენა, აი, აქეთ უნდა მიმართოს მნ მთელი თავისი ენერგია".

თუ კი ბანდიტებს, ასე ვსთქვათ, ესერები ე. ი. მათ უთანაგრძნობენ—სამაგიეროთ, თავის მხრივ, უკანასკნელებიც გლეხებს ექომაგებიან. გასასამართლებელი საბუთი ძლიერ მარტივია: მოთარეშე ყაჩაღებს შორის, თურმე, გლეხებიც მოიპოვება! ეს მართალია, მაგრამ რას ამტკიცებს იგი? სამსი წლის განმავლობაში, გლეხები იყო უმთავრესი ფუძე მეფის თვითმყრობელობისა. 1906 წ. გლეხებმა, ჯარის კაცს ტანსაცმელში ჩააქვრეს რევოლიუცია, სტოლიპინის დროს, გლეხები ცეცა-ტყვიით უმსპინძლდებოდენ რევოლიუციონურ „გლეხთა კავშირის" წევრებს. 1848—51 წ., საფრანგეთში გლეხებმა ჩაქვრეს რევოლიუცია. გლეხების დახმარებით დაეცა კომუნა 1871 წ. ასეთივე ბედი იწვია გერმანიაში და ავსტრიაში 1848 წ. რევოლიუციას გლეხებისვე მეოხებით. საფრანგეთის დიდ რევოლიუციის დროს გლეხები იყვენ უმთავრესი კონტრიგენტი კონტრ-რევოლიუციონერ და მონარქისტულ ჯარების და ბანდიტისა. რას წარმოადგენდა, თუ არა გლეხების ჯანყებას,—აჯანყებას, რომელიც მიმართული იყო რევოლიუციის წინააღმდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობდენ მღვდლები, მემამულეთა ვაჟები და მეფის გენერლები? „ბეთივე იყო შუანელ გლეხების მოძრაობა, რომელიც 7 წლის განმავლობაში ებრძოდა რევოლიუციას.

ესერები, ეხლა, კოლჩაკს აღარ უთანაგრძნობენ,—ცოტა არიყოს ის მათ უდიერათ მოეპყრა! ეხლა, საინტერესოა, ვიკითხოთ ვისგან შედგებოდა კოლჩაკის ჯარები? ვინ იყვენ ეს ჰერმელები, ტიუმენლები, ციმბირლები და სხვა? განა დენიკინის და ვრანგელის ჯარში არ იყვნენ გლეხები? მაგრამ, საინტერესო ის არის როგორ და რა კატეგორიის გლეხებზეა აქ ლაპარაკი!

ძველ საფრანგეთის სხვა და სხვა ოლქებში სწორედ გლეხები იყვენ კონტრ-რევოლიუციის ძამძრავებელი ძალა, მისი კონტიგენტი; ვანდეელნი—ეს ხომ გლეხების თითქმის რეგულიარული ჯარი იყო, შედგენილი მემამულე თავადების და მეფის აფიცრების მიერ, გენერალი შარეტი—ეს ხომ იგივე კოლჩაკი და დენიკინი, თუმცა ნაკლები პირმოთნე, ვიდრე უკანასკნელები. ზუანლების მოძრაობა—ეს ხომ გლეხების მოძრაობა იყო და მასთან თავშეუკავებელი პარტიზანული თარეში აღვირ-წასხსნილ გლეხების ბრბოებისა, რომელიც ძლიერ გავს ჩვენ ბანდიტიზმი აჩეღობას. გლეხები, დეზერტირები, კონტრაბანდისტები ხან რომელიმე გლეხისე მეთაურობით, უმეტესად კი მეფის აფიცრების წინამძღოლები ადგენდენ რაზმს რომელიც შეტაკების დროს ადვილად მარცხდებოდა და იშლებოდა, მაგამ ისევ უცვ თავს ეყრიდა და აჩეღობდა, ცეცხლს უკიდებდა, თავს ესხმოდა, კლავდა „მწვანეებს" (რევოლიუციონურ ჯარის ზედმეტი სახელი) ისე როგორც ეხლანდელი ბანდიტები თავს ესხმიან „წითლებს"; შესანიშნავია, ის გარემოება, რომ ეს გლეხები „კომუნას" კი არ ებრძოდენ, რომელზედაც მაშინ არც კი იყო ლაპარაკი, არამედ თითქოს ბურჟუაზიულ წესწყობილებას, რომლის დაცვის შემდეგ ისინი უნდა განთავისუფლებულიყვენ ფეოდალ მემამულეებისაგან, საკვირველია რათ უხარიათ ესერებს, როცა ისინი ბანდებს შორის ხედავენ გლეხებს? რანახეს მათ ამაში ახალი?

ისტორიაში ჩვენ არა ერთხელ გვინახავს გლეხების აჯანყება რევოლიუციის წინააღმდეგ. ეს აჯანყება ორგვარი თვისებისა იყო ხოლმე: 1) გლეხობა ჯ ნყდებოდა ბურჟუაზიულ წესწყობილების წინააღმდეგ და იც ვდა ფეოდალურ მონარქიას; ეს აიხსნება იმ გარეოებით, რომ გლეხობა იყო ძლიერ ჩამორჩენილი და ბნელი. სამდვდელოება ქონდა დიდი გავლენა და ძალა, ეკონომიურათ კი გლეხობა დამონებებული ყავდა ფეოდალურ მემამულეებს, 2) გლეხები ჯანყდებოდენ სოციალისტურ პროლეტარიატის წინააღმდეგ და იცავდენ ბურჟუაზიულ წესწყობილებას და კერძო საკუთრებას.

რუსეთის რევოლიუცია მოწმეა ორივე ამ მოვლენის. კოლჩაკთან და დენიკინთან მყოფი გლეხობა, აჯანყება და ბანდიტობა გამოხატავდა ამბოხებას ბურჟუაზიულ რევოლიუციის წინააღმდეგ—მონარქიის აღდგენისათვის. დღევანდელი მოესერო ბანდიტიზმი კი არის ამბოხება სოციალიზმის და მუშათა აკლასის წინააღმდეგ და ბურჟუაზიულ წესწყობილების ძირითად პრინციპების დაცვათ.

მაგრამ შუანლობა ე. ი. შუანელ გლეხების აჯანყების დაგვარი მოძრაობა, უკეთ რომ ვსთქვათ აჩეღური თარეში უეჭველად გადადის ვანდეიზმათ და ირაზშება შარეტების (ლოთი, ქალალდის მოთამაშე თავადი ვანდეიას ენერგიული მეთაური) ხელმძღვანელობის ქვეშ „საკურთხეველის და ტახტის" დასაცავად. ამ გვარიგეა ჩვენი ბანდიტიზმი; თუ კი მან მიიღო განვითარება, ის ხელ ახლა მგვეყვანს კოლჩაკიადას, დენიკინიადას და ვრანგელიადას აღორძინებამდე, ე. ი. ასაცილებლად აღმართავს მონარქიულ დროშას; ეს იქნება მისი ლოლიკური შედეგები, რადგან, ბოლოს და ბოლოს მ.ს ხელმძღვანელობენ და ასულდგმულებენ თეთრები.

იმავ გაზეთში ესერებს მოჰყავთ სია უკრაინაში მოთარეშე ბანდეგბისა. ზოგ-ერთ ბანდებს სათავეში უდგანან დეკლასიური გლეხები, მაგრამ ასეთებიც ცოტანი არიან, უმეტეს ნაწილად კი ჩვენ ვკითხულობთ, რომ ბრბოს სათავეში უდგანან ყოფილი კაპიტანი, ყოფილი „სოტნიკი", ყოფილი პოლკოვნიკი და ყოფილი „მოხალისეთა არმიის" შტაბ-ოფიცერიც კი, ისმება საკითხი: რათ ახარებთ ეს ჩურჩუტა ესერებს?

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ გლეხი როგორც ასეთი ორმაგი არსებაა. ერთი ნ ხევარი მისი არსებისა, როგორც მესაკუთრისი, ეკუთვნის ძველ წე წყობილებას; მეორე ნახევარი კი, როგორც ობიექტი ექსპლოატაციის ეკუთვნის ახალ ქვეყანას ე. ი. სოციალიზმს. როცა მაში გაიმარჯვებს პირველი არსება, ის მ.დის კოლჩაკთან, ესერებთან, ბანდებთან, როცა მეორე, მუშასთან ერთად ებრძვის ბურჟუაზიას, მემამულეებს, ესერებს. საბედნიეროთ რევოლიუციის დროს გლეხის ძველი ფსიქოლოგია იჩრდილება და მის ადგილს იკავებს რევოლიუციონური განწყობილება. ამნაირად კადეტების, ესერების და მენშევიკების ენაზე რევოლიუცია იმარჯვებს.

რომ ბანდიტთა ბრბოებში მოიპოვება გლეხები, ამაში ჩვენ ესერებს ვეთანხმებოდთ. მერე და რა? გლეხები იყვნენ მეფის გენერლის ჯარებშიც! საკითხავია ვინ ებრძოდა მათ? ვინ დაამარცხა კოლჩაკი, დენიკინი, ვრანგელი? ვინ ანადგურებს ბანდებთა ბრბოებს? რასაკვირველია იგივე გლეხები, წითელი არმიელები. ვინ დაამარცხა მეფის თვითმპყრობელობა და დამფუძნებელი კრება? გლეხებმა მუშებთან ერთად. ვინ იცავდა თავგამოდებით სამი წლის განმავლობაში საბჭოთა რესპუბლიკას შინაგან და გარეშე მტრებისაგან? გლეხები მუშებთან ერთათ, ყველაფერი ეს ბავშვისთვისაც ცხადია.

მაგრამ ამ რევოლიუციონურ გლეხობას ესერები ვერ აბჩენენ; უკეთ რომ ვსთქვათ, მშვენივრათ ხედავენ ამას და მწვავეთაც გრძნობენ მათგან ზურგში ცემას; მხოლოდ ასეთი გლეხობა ესერებს არ მოსწონთ. მთელი მათი სიმპატია მიმართულია გლეხების არსების იმ მხარესკენ, რომელიც ხელაყრელ პირობების დროს კონტრ-რევოლიუციონერათ ქმნის მას. ამ კატეგორიის გლეხობაზე ეყრდნობოდენ ესერები ვოლგაზე, ციმბირში, მათზედვე ეყრდნობიან ისინი ეხლაც და ყაჩაღთა ბრბოების საშუალებით ფიქრობენ ძალა უფლების მოპოვებას, ყველაფერი ეს აშკარა დამამტკიცებელია იქისა, რომ თვით ესერების არსებაში ბუდობს ვანდეიზმი და შუანლობა.

იულ. სტეკლოვი.

„იზვესტია" № 112.

საბჭოთა რუსეთში

გრუკავროსტას დეპეშები

კომინტერნის 3 კონგრესი.

მოსკოვი. კომინტერნის ყრილობის სხდომები მოხდება კრემლში ალექსანდრეს დარბაზში. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს 1000 დელეგატი, რომელნიც მოთავსებული არიან ლიუკსში, კონტინენტალში და სხვ. სასტუმროებში. დელეგატებისათვის თეატრალურ და მუსიკალურ წარმოდგენებისა და კონცერტების მოწყობა სახალხო განათლების კომისარიატს აქვს მინდობილი. კავშირთა ზენობაში გაიხსნება გამოფენა, რომელმაც დიოგრამების მეოხებით უნდა გამოხატოს კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება სხვა და სხვა ქვეყნებში. სასწრაფოთ არ დება პრესბიუროო ყრილობის სტენოგრამებისა, რადიო გაზეთებისა და გაზეთ „მოსკოვის" გერმანულ და ფრანგულ ენებზე—გამოსაცემლად. ბროშიურების დაბეჭდვა თავდება, მოეწყო წიგნების გამოფენა. მოსკოვის საბჭომ გამოსცა იუბელეიეს ალბომი წარწერით „წითელი მოსკოვი კომუნისტური ინტერნაციონალის 3 კონგრესს". ალბომის ნახატებიანი მასალა გაყოფილია სამ ჯგუფათ: ძველი მოსკოვი, რევოლიუციონური მოსკოვი, ქარხნები, წითელი არმია, სოფელი და სხვ.

ლ ო ზ უ ნ გ ი.

მოსკოვი. 19 ივნისი (რადიო). უპარტიოთა სურვილია პროფ. კავ. საბჭოებთან დაიკავონ საპასუხისმგებლო თანამდებობა. პარტია ამას სიამოვნებით უნდა მ მგებოს.

უპარტიონი საბჭოთა საპასუხისმგებლო სამუშაოებზე.

გომელი. 16 ივნისი (რადიო). საერთო საქალაქო მუშათა კონფერენციამ საბჭოთა დაწესებულებების საპასუხისმგებლო თანამდებობაზე აირჩია 9 უპარტიო პირი.

ლ ო ზ უ ნ გ ი.

მოსკოვი. 16 ივნისი (რადიო). ყოველგან სადაც კი კომუნისტებსა და უპარტიო ბუნებს შორის ზღვარის ჩადგმას მოინდომებენ, იგი რაც უნდა დაჯდეს დაუყონებლივ უნდა მოვსპოთ.

სევასტოპოლის რევკომის ღია სხდომა.

სევასტოპოლი, 20 ივნისი (რადიო). შესდგა რევკომის პირველი ღია სხდომა ნავთსადგურის ქარხანაში. სხდომას დაესწრო მუშათა დიდი რაოდენობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კამათში და შეკითხვებს აძლევდნენ მომხსენებლებს.

ᲨᲔᲘᲜᲐᲜᲔᲑᲡ.

მოსკოვი, 16 ივნისი (რადიო). კრასნოიარსკში მღვ. ტრიკოვმა წახარების წინაშე მოინანია და განაცხადა, რომ ის ამდენს ხანს ატყუებდა ხალხს, მან ამხილა ადგილობრივი სამღვდელოება ეკლესიაში, წირვა-ლოცვის აღსრულებაზე უარი განაცხადა და ითხოვა ფიზიკური შრომა. (კავროსტა).

მოსამსახურეთა ხელფასის კოლექტიური გადახდა

მოსკოვი 16 ივნისი (რადიო) ს. რ. ც. ა. კ. პრეზიდიუმმა დაადგინა ივლისის პირველიდან მოსკოვში და პეტროგრადში შემოღებულ იქნას საბჭოთა მოსამსახურე შრომის ხელფასის კოლექტიურად გარდახდა. რესპუბლიკის ცალკე ადგილებში კოლექტიურ ხელფასის გარდახდის შემოღების ვადას აწესებს საგუბერნიო პროფ. კავშ. საბჭო. შრომის ხელფასისთვის თითეულ დაწესებულებას გაეხსნება განსაზღვრული ფულის ფონდი. ეს ფონდი არ კლებულობს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მუშა მოსამსახურეთა რაოდენობა შემოკლებულ იქნება, მხოლოთ იმ პირობით, თუ დაწესებულებაში წინანდელი შრომის ნაყოფიერება დაცულ იქნება.

კომუნისტ ქალთა საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვი. 17 ივნისი. (რადიო). კონფერენციის უკანასკნელი სხდომა დიდი ზეიმით ჩატარდა. მთელი სხდომას საერთაშორისო ბუმ ქალთა გაერთიანების ელფერი ჰქონდა. დაწყებული შორეულ აღმოსავლეთიდან მიღებულ კლარა ცეტკინას სახელზე მისალმებიდ ნ და გათავებული აღმოსავლეთის ქალთა მოსვლით. ამბ. ტროცკის მისასალმებელ სიტყვაში გაისმის თუ არა სიმბოლიური სიტყვა „აღმოსავლეთი" და იმ წამში მის საპასუხოთ დარბაზში გაჩნდენ მთელი წყება აღმოსავლეთის ქალებისა. დარბაზი მათ დიდი აღტაცებით და ავაციებით ეგებება. ყველა ესენი არიან აზიის შორეულ კუთხეებიდან: შორის გზიდან მომავალნი, მტვერში ამოთხუპნულნი გამოწყობილნ ეროვნულ ტანსამოსში და ჩადრში. მათი აქ გამოცხადება—ესაა სიმბოლო კომუნისტურ დიდ იდეალების სიძლიერისა და გავლენ სა. ამ იდეალმა მოიზიდა მთლათ ჩამორჩენილ, მთლად დაბეჭ ვებულ და ყოველ მხრივ დატანჯულ ქვეყნის ქალები მოსკოვში, რომელნიც წარმოადგენს მსოფლიო რევოლიუციის წითელ სამშობლოს. უცხოელ აბხანაგებისათვის ეს

საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს. აღმოსავლეთელ ქალთა მოსვლამ მათზე განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. არა ნაკლებ გრძნობებით იყო აღსავსე ჩვენი ახლათ ჩამოსულ ამხანაგთა მისალმებანი ყრილობისადმი: „ჩვენ ბედნიერათ ვსთვლით ჩვენს თავს, ამბობენ ისინი, როცა მოვხვდით მოსკოვში, ბედნიერი ვართ როცა ამ საერთაშორისო კონფერენციაზე ვმონაწილეობთ და ეს იმ დროს, როცა ჩვენ უბრალო კრებებზედაც აღარ

ვიშვებენ“. დიდი აღტაცება და აღფრთოვანება გამოიწვია ამხ. კოლონტაის უკანასკნელმა სიტყვამ, სხდომის დახურვისას წარმოთქმულმა ის მომენტი, როცა აქ ჩვენთან გრძელი მწკვრივათ შემოვიდნენ აღმოსავლეთის ქალები. დიად მომენტათ დარჩება და აღიბეჭდება კომუნისტურ ინტერნაციონალის ისტორიაში. ის იქნება საერთაშორისო სოლიდარობის მძლავრი გამოსახვა და თავდები პროლეტარიატის მომავალ გამარჯვებისა მთელს ქვეყნიერებაზე.

საზღვარ გარეთ

გრუკავროსტას დეპეშები.

ჯარის-კაცთა მღელვარება ინგლისში.

მოსკოვი. ინგლისის ჯარის ნაწილებში მღელვარება გახშირდა. მოხდა დიდი აღელვება დონ-კოსტერნში ტყვეისმფრქვეველ ჯარის-კაცთა შორის აღდგრშტოდში ინგლისის ჯარის მთავარ ცენტრში. არეულობაში მონაწილეობა მიიღო 100 ჯარის-კაცმა. ჯარის კაცებმა ამართეს წითელი დროშა და გაიძახოდენ: „ჩვენ ბოლშევიკები ვართო“.

ფარმაცევტთა კონგრესი პარმში.

რომი. 18 ივნ. (რადიო). პარმში გაიხსნა იტალიის მედიკამენტების, ქირურგიულ ინსტრუმენტების, ორტოპელიულ ნივთებისა და სხვა წარმოებათა წარმომადგენლების კონგრესი. ამ ჟამათ ეს მრეწველობა იტალიაში ძალიან ვითარდება და უცხოეთში მეტად ფასდება და დიდი მომავალიც აქვს. კონგრესის კომიტეტი აწყობს გამოფენას.

საფრანგეთში არსებულ გაფიცვის გამო.

ლიონი. 18 ივნისი. (რადიო). საფრანგეთში გაფიცულთა რიცხვი თან და თან კლებულობს. ამ ჟამათ გაფიცულთა რიცხვი 60 ათასამდეა, ამ რაოდენობიდან 40 ათასი პარიზსა და სენის პარლამენტს უწევს. ბევრი გაფიცულთაგანი სასოფლო მეურნეობას უბრუნდება.

იპოვეს ვისთან იჩივლონ.

მოსკოვი. 16 ივნისი. (რადიო). ლატვიის ელჩმა ბრიანს წარუდგინა თხოვნა იმპერიალისტურ ამბებით განადგურებულ ლატვიის დახმარების შესახებ. იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგები ლატვიაში: დანგრეულია 80,000 სახლი. განადგურებულია 25,000 მეურნეობა, მოკლულია 70,000 ცხენი, ქვრივ-ობლად არის დარჩენილი 60 000 ქვრივი და 50,000 ბავშვი, რომელნიც აუწერელ გასაჭირს განიცდიან.

საქვეყნო სატყეო მეურნეობა

მოსკოვი. მოსკოვის სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში იყო გაკეთებული მოხსენება თანამედროვე საქვეყნო სატყეო ბაზრის მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ იმდენ ხე-ტყის მასალას, რომელსაც აწვდიდა რუსეთი საქვეყნო ბაზარს, ვერც ერთი ქვეყანა ვერ აწვდიდა. ამ მხრივ რუსეთის როლი საქვეყნეო სატყეო ბაზარზე დარჩა შეუცვლელი. ევროპის სახელმწიფოებში ხე-ტყის შეტანა ძალიან შემცირდა: ინგლისმა მიიღო 1919—20 წლების მხოლოდ 63 პროცენტი იმ რიცხვისა, რომელსაც ღებულობდა 1914—15 წ. გასული წლის ერთ მესამედში თან და თან ემჩნეოდა ხე-ტყის შეტანის შემცირება ინგლისში. საქვეყნო სატყეო ბაზრის მდგომარეობა საერთოთ უმოქმედო და შერყეულია. სახერხი ქარხნები შვეიცარიაში და ფინლიანდიაში თითქმის ყველა გაჩერებულია და რომელიმე თუ მუშაობს, ისიც ძალიან სუსტათ. ამ მხრივ რუსეთს შეუძლია დაიკავოს პირველი ადგილი საქვეყნო ბაზარზე და თავისუფლად შეუძლია ნაწილი გაიტანოს ევროპაში, რადგანაც იქ ძალიან დაინტერესებულნი არიან რუსის ხე-ტყით, როგორც საუკეთესო ღირსებისა.

შენიშვნა: განსაკუთრებული დიდი და მნიშვნელოვანი ხასიათის შენობებისა და კაპიტალური რემონტის პროექტები, რომელთა პირდაპირი გამგებლობა ევალება სახელმწიფო შენობათა აგების კომიტეტს ან სხვა ცენტრალ ორგანოებს ევალება, უნდა ეცნობოს შრომის სახალხო კომისარიატს, მიუხედავათ მათი ადგილ მდებარეობისა.

3. შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილება ან მისი ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან მიღებული პროექტის შესახებ მისცენ თავისი დასკვნა შრომის ჰიგიენისა და უშიშროების უზრუნველყოფის ტექნიკური თვალსაზრისით, ერთი თვის განმავლობაში დღიდან პროექტის მიღებისა. არც ერთი შენობის ან კაპიტალური რემონტის დაწყება არ შეიძლება აღნიშნულ ვადის განმავლობაში, უკეთუ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ არ იქნა მიცემული დადებითი დასკვნა.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა სახელმწიფოებრივი განსაკუთრებული დიდი შენობების პროექტებისათვის დასკვნის მიცემა, შრომის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გააგრძელოს ზემოაღნიშნული ვადა და გაგზავნოს პროექტის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტში თავისი წარმომადგენელი.

4. პირველ მუხლში აღნიშნული მუშაობის დასრულების შემდეგ, არც დამატებითი დაწესებულების, არც წარმოების ამოქმედება არ შეიძლება იქნეს დაწყებული შრომის ტექნიკური და სანიტარული ინსპექტორებისა და პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისიის დაუდასტურებლად.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე.

შრომის სახ. კომის. ლ. **დუმბაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის

მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. ივნისის 22.

თბილისი სასახლე.

ცირკულარიალურად.

ყველა რევკომს.

თანახმად საქართველოს რევკომის № 37 დეკრეტისა, რესპუბლიკის ყველა სამკურნალო ადგილები ანუ კურორტები ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში გადავიდა და მას ხსენებულ ადგილებში აღებული აქვს აღრიცხვაზე ყველა სახლები და ბინები, გარდა იმ სახლებისა და ბინებისა, რომელშიც მუდმივ ზამთარ ზაფხულ ცხოვრობენ ადგილობრივი მცხოვრებლები.

იმ შემთხვევაში, თუ აღრიცხული ბინების გამოყენებას ჯანმრთელობის კომისარიატი ა. წ. სეზონისათვის ვერ მოასწრებს, განზრახულია საკურორტო სამმართველოებთან მოეწყოს საბინაო განყოფილების სამეული, რომელიც იმუშავებს ადგილობრივ საბინაო განყოფილებასთან ერთად და რომელიც ბინების განაწილების დროს კერძო ავთმყოფებ შორის უპირატესობას მისცემს მუშა მოსამსახურეებს მათი ოჯახით და შემდეგ ხელ მოკლე მოქალაქეებს.

ფასი ასეთი ბინებისა განსაზღვრული იქნება კურორტის საბინაო განყოფილებისაგან.

აღნიშნულს გაცნობებთ სათანადო განკარგულებისათვის, ვინაიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობებით არის შემთხვევები, რომ რესპუბლიკის კურორტებზე კერძო პირები იკავებენ ბინებს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **ხახანაშვილი.**

კომუნალური განყოფილების გამგე **სიდომონიშვილი.**

გრძანება

ყველა ელექტრონის სადგურების საყურადღებოთ.

იმ მიზნით, რომ თბილისის ელექტრონის სადგურების მდგომარეობა ყოველ მხრივ გამოკვლეული და გაშუქებული იქმნას, ქალაქის სტატისტიკურ განყოფილება შეუდგა მათ აღწერას.

ამიტომ ვავალებ ელექტრონის სადგურთა ყველა მმართველებს:

1. ხუთი დღის განმავლობაში, დღიდან ამ განკარგულების გამოქვეყნებისა წარმოადგინონ სტატისტიკურ განყოფილებაში (შტაბის და სასახლის ქუჩა. კუთხე, მესამე სართული) შევსებული საანკეტო ფურცლები, რომლებსაც მიიღებენ სტატისტიკურ განყოფილებაში.

2. ცნობები საანკეტო ფურცლებში უნდა იქნას შეტანილი სრულიათ სწორი.

3. ამ განკარგულების დამრღვევნი სასტიკათ დაისჯებიან რევოლიუციონურ დროის წესების მიხედვით.

თბილისის ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე **ა. გეგეჭკორი.**

სტატისტიკურ განყოფილების

ა. რუხაძე.

გრძანება № 1.

ქ. თფილისის, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო, ყველა ტიპის სათეატრო განათლების სკოლათა (სტუდიების, კურსების, კლასებისა და სხვათა) გამგენი დღეის ამ რიცხვიდან სამი დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდენ რესპუბლიკაში სათეატრო განათლების გამგესთან (ლორის-მელიქოვის ქ. ს. № 3ქალთა პირველ გიმნაზიის შენობა, ბინა განათლების კომისარიატისა) ორშაბათს 27 ს, სამშაბათს 28-ს და ოთხშაბათს 29 ამა ივნისს დილის $9^1/_2$ საათიდან 11 საათამდე პირადათ მოსალაპარაკებლად და თან წერილობითი ცნობები უნდა წარმოადგინონ შესახებ იმისა, თუ რა სკოლას (სახელი სკოლისა) განაგებენ ისინი, რა ხასიათის სკოლაა? (დრამატიული, ხორეოგრაფიული თუ სხვა), სად იმყოფება იგი! ვის განკარგულებაშია (სახელმწიფო სკოლაა, თუ კერძო, თუ კერძოა ვისია ეს სკოლა!) ვინ განაგებს სკოლას? მასწავლებელთა ვინაობა მოკლე Curriculum vitae-თი. სკოლის ინვენტარის აღწერილობა, მოწაფეთა რაოდენობა და მოკლე ისტორია სკოლისა.

აკადემიური ცენტრის თავმჯდომარე **დ. კანდელაკი.**

სათეატრო განათლების გამგე **აკ. ფალავა.**

ქ. ტფილისი. 1921 წლ. ივნისის 24.

ქ. ჩიტო შარაშიძის „გამოსვლის“ გამო

Не говори мне он умер, он живет, но только не встает и не поет..

ნადსონის ასეთი გადაკეთებული სიტყვებით დასცინოდა ერთი იუმორისტი ლ. მარტოვის იუმორისტულ საქციელს, როდესაც ერთხელ სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობაზე ის დემონსტრატიულათ განაგრძობდა ჯდომას დელეგატების ფეხზე წამოდგომის დროს „ინტერნაციონალის“ ხმაზე. ყვითელი ინტერნაციონალისტის ცნობილ სახელს ეს შავრაზმული საქციელი, რასაკვირველია, ბევრს არაფერს შემატებდა, მარა მსგავსი ჰეროსტრატული „სკანდალი“ პირდაპირ შვებასა და ლხენას წარმოადგენს მარტოვის პაწაწკინტელა „სულიერს შვილებისათვის“, რომლებიც შემთხვევით ჩამორჩენ პარიზში გაქცეულებს და ვერ მოახერხეს გადაქცეულიყვნენ ერთი საათის გმირებათ. მე მოგახსენებთ ქალბ. ჩიტო შარაშიძეზე. საქართველოს პროფკავშირების ეხლახან დათავებულ კონფერენციაზე ის ეწეოდა სისტემატიურ ობსტრუქციას კომუნისტ ორატორების წინააღმდეგ და თავმჯდომარის სიტყვით ერთნაირი „მხიარულება“ შეჰქონდა სხდომების მსვლელობაში. დაბოლოს ინტერნაციონალის ხმაზე დელეგატების ადგომის დროს ის იმდენათ დამძიმდა, რომ ვეღარ მოახერხა ფეხზე წამოდგომა. ამით მან კიდევ უფრო მიიქცია დელეგატების ყურადღება და დღეს „მაშვრალთა ხმაში“ წერილსაც ათავსებს, რომ საზოგადოებას ამცნოს თავის არსებობის შესახებ. მე ვუსურვებ მას მიეღწიოს ამ პატარი მიზნისთვის და შეძლებისადაგვარათ მოვეხმარო ამაში.

თავის წერილში, რომელმაც ადგილი იშოვა „მაშვრალთა ხმის“ ფურცლებზე, ავტორი იმ მოსაზრებით ასაბუთებს თავის საქციელს, რომ ქართველ კომუნისტების მოღვაწეობის ხასიათის გამო მას არ შეეძლო მათთან ერთად პატივეცა ინტერნაციონალური ჰიმნისათვის.

დამოუკიდებლათ იმისა, თუ რამდენად სარგებლობს ავტორი ამ მოსაზრებით თავის ჰეროსტრატული საქციელის გასამართლებლათ, მასში იმალება ერთი არსებითი სიმართლე.

მსოფლიო რევოლიუციის პროცესში ჩვენ და მენშევიკები ბარიკადის ერთი მეორის მოწინააღმდეგე მხარეზე მოვექეცით. მათ წაბილწეს, მათ გარყვნეს, მათ დაასამარეს იდეია და პრაქტიკა ინტერნაციონალური სოლიდარობისა და პროლეტარული მოძრაობის. ჩვენ შორის გარდუვალი სისხლის ღვარია გავლებული. როგორ უნდა გაბედონ მათ ჩვენთან ერთათ უმღერონ ჰიმნი ამ სოლიდარობასა და ბრძოლას! ეს ცხადია. ინტერნაციონალის ჰიმნით გამოწვეულ მაღალი განცდის უფლება აქვს მხოლოთ ამ ინტერნაციონალისთვის მებრძოლთ და მის ჭეშმარიტ მიმდევართ და არა იმპერიალისტების სათამაშოთ გადაქცეულ მანეკენებს. მათი ადგილია ინტერნა-

ნალიზაციის პრინციპების და კრიტერიუმის დამყარების პირველი ცდა არ დაგვირგვინდა გამარჯვებით. რამდენიმე სხვა და სხვანაირ დადგენილების შემდეგ გადასწყვიტეს მთელი ვაჭრობის თავისუფლად დატოვება.

მრეწველობის შესახებ თუ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა აწ მიღებული რევკომის დეკრეტის პროექტი. დეკრეტის გამოქვეყნებამდე სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაარსა კომისია, რომელმაც დაათვალიერა ყველა დარგის წარმოებანი იმ აზრით, რომ გარკვია, რომელნი მათგანნი ექვემდებარებიან დეკრეტს ნაციონალიზაციის შესახებ და რომელნი მათგანნი არ გამოდგებიან რაიმე მიზეზით ნაციონალიზაციისათვის. კომისიამ იცნო რომ ნაციონალიზაციას ექვემდებარება 89 წარმოება, რომელნიც წარმოების დაგვარად განაწილდებიან ამნაირათ: ლითონის დამმუშავებელნი 13 (თბილისი და ბათომი); მჩითავთა 5 (მთელ საქართველოში); ქიმიური 19 (მთელ საქართველოში); მკვებავი 6 (თბილისი); მეტყავეობისა 3 (თბილისი), ხეტყის 29 (მთელ საქართველოში). მეთამბაქოეთა 14 (მთელ საქართველოში). ამას გარდა, გადაწყვეტილია პოლიგრაფიული წარმოებათა დაელექტრონის საადგურების ნაციონალიზაცია მოახდინონ.

რადგან აქამდე საქართველოში სრულიად არ იყო სამრეწველო სტატისტიკა, ამიტომ სანამ კომისია მუშაობას შეუდგებოდა, ყველა საჭირო ცნობების მისაღებათ, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სტატისტიკურ-ეკონომიურმა განყოფილებამ სასწრაფოთ მოაწყო ყველა სამრეწველო, ფაბრიკა ქარხნების და მიწა-მრეწველობის და სახელოსნოების რეგისტრაცია და მათგან უფრო მსხვილ წარმოებათა დეტალურათ გამოკვლევა. პირველი სამუშაო დამთავრებულია მთელ ტფილისში, დამთავრებულია ქუთაისშიაც და ამ ჟამად სწარმოებს ბათომში მაგრამ წინასწარი ცნობები უდიდეს წარმოებათა შესახებ, რომელთაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და რომელნიც ეაციონალიზ-

ლათ ექვემდებარებიან ნაციონალიზაციას როგორც ბათომსა და ქუთაისში, ისე რესპუბლიკის სხვა ადგილებშიაც უკვე მზადაა და მათ მომეტებულ ნაწილათ უკვე გაიარეს კომისიის ხელში. ამნაირად ამ წარმოებათა ფორმალურად სახელმწიფოს ხელში გადასვლა ამ მოკლე ხანში იურიდიულად იქნება მოწესრიგებული, ჯერ-ჯერობით კი ისინი ფაკტიურად იმყოფებიან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგეობაში. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რომელსაც უნდა მოჰყვეს მეორე გაცილებით უფრო ძნელი, ესაა ორგანიზაცია ამ დაწესებულებებში საქონლის წარმოებისა, რომელიც ამ ჟამად სრულიად ანგრეულია.

მრეწველობის მდგომარეობა საქართველოში.

უნდა ითქვას სრული გულახდილობით, რომ საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა მეტად მძიმეა. მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენ მივიღეთ მცირე აღმოჩნდა. საქართველოს ბუნების სიმდიდრე აქამდე არ იყო გამოყენებული ისე, როგორც რიგია. დიდი ტყეების სივრცე რჩება ექსპლოატაციის გარეშე. ომისაგან გაჩერებულ შავი ქვის მრეწველობის აღდგენა მხოლოდ 1920 წ. დაიწყო. რადგანაც შავი ქვა განსაკუთრებით საზღვარ-გარეთ გასატანი საქონელია. ამიტომ მიღებულია ყველა ზომები, რომ მოუპოვონ მას გასავალი მსოფლიო ბაზრისკენ, მაშინ მისი გამოღებაც ხელახლა მიაღწევს წინანდელ უზარმაზარ ზომებს. სამადნო საქმის დარგში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სათბობი მასალის გამოღება. სამხედრო მოქმედების დროს გაჩერებული მუშაობა ტყვიბულის ქვანახშირის მაღაროებში ხელახლა დაიწყო. თუმცა გამოღებულ ნახშირის ნორმამ შესაძლებელი ეიკლო, უმთავრესად მუშების წასვლის გამო.

სათბობი მასალა.

მართალია, ამ ჟამად სათბობი მასალის საწვავ ნაკლებულობა არ არსებობს, რადგანაც ჩვენ ვღებულობთ აზერბეიჯანიდან, მაგრამ რადგანაც იქ ამოღებ-

ბის კრიზისი ძლიერდება, ამისთვის ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ ჩვენი საშუალებებით დავიკმაყოფილოთ სათბობის მოთხოვნილებანი. ამის გამო უნდა დაიწყოს გამორკვევა და ამასთანავე კახეთის ნავთის ამოღება, მაგრამ რადგანაც ამისთვის საჭირო ტექნიკური მასალა არა გვაქვს, ვიყოთ მზათ იმისათვის, რომ მოგვიხდება მივმართოდ უცხოეთს დახმარებისათვის, ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომელიც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, ხის სათბობი მასალის შესახებაც საქმე ჯერ-ჯერობით სუსტათაა. მუშა ხელის სიმცირემ, ტრანსპორტის საშუალებათა და საჭირო იარაღების სრულიად უქონლობამ არ მოქვცა საშუალება აქამდის შეშის მასსიურად დამზადებისა.

ტყის განყოფილების მიერ შექმნილია კომისია, რომელიც შეიცავს რესპუბლიკის ყველა 14 ტყის რაიონს, ამ რაიონებში მუშაობა სწარმოებს იმდენათ, რამდენათაც პირობები ხელს უწყობს მათ და ისინი თავის მოქმედებას გაფართოვებენ, როგორც კი დამთავრდება სასოფლო მუშაობანი. ჯერ საქმე ამ სფეროში ძალიან სუსტად მიმდინარეობს.

გადამმუშავებელი მრეწველობა.

მეტად ცუდათ არის საქმე გადამმუშავებელ მრეწველობის სფეროში. შესანიშნავი ქარხანა, როგორიც არის მაგ. სააქციონ. საზოგად. „ტოლეს“ საპნის და ზეთის სახდელი, რომელსაც შეეძლო დაეკმაყოფილებია არამც თუ საქართველოს მოთხოვნილებანი, არამედ მთელი კავკასიისა და ამიერ კავკასიის, მოთხოვნილებანი ძლივს ღა მუშაობს. არ არის ბამბის თესლი. არ არის სოდა, რომ გავაახლოთ ეს მნიშვნელოვანი დაწესებულება, ჩვენ მიერ მიღებულია ზომები ნედლი მასალის შესაძენათ.

ლითონის მრეწველობა.

ლითონის მრეწველობის სფეროში არაფერი მნიშვნელოვანი რამ არ არის ამ ჟამათ საქართველოში: ყვარცხანის სპილენძის სადნობი ქარხანა და ძანსოლის სპილენძის მადნები ოსმალებს უჭირავთ, ალავერდის ქარხნის ბედი კი

ციონალის და რევოლიუციის მოსისხლე მტერთა ბანაკში, მათ წერილებს შეუძლია იპოვონ ადგილი ყვითელ პრესაში ლ სხვა და სხვა „დიპლომატიურ“ მოსაზრებით გამსჭვალულ მაშვრალთა გამოცემებში, რომლებიც არც ისე დაშორებული არიან ყვითელი სოციალისტების შეხედულებაზე საქართველოს დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

ჩვენ თუ მოვახერხეთ ზოგი „მეგობრებისაგან“ თავის შველა, მებრძოლი ინტერნაციონალის მტრებს ჩვენ ჩვეულებრივ საჭირო სიმტკიცით დავხვდებით.

პეტრიაშვილი.

ქრონიკა

საგარეო ვაჭრობა. ივნისის 14 საქ. ს. ს. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის კოლეგიის წევრთა სხდომაზე დაადგინეს: მივლინებულ იქნეს ყირიმში საქართველოს საგარეო ვაჭრობის წარმომადგენელი რესპუბლიკის საჭიროებისათვის 300,000 ფ. მარილის ჩამოტანის მოსაწყობად. მარილი გამოშვებულია რუს. ს. ს. რესპ. სახალხო მეურნეობის საბჭოს მოთხოვნილებით. განხილულ იყო აგრეთვე საკითხი ერთი უცხო ფირმის მიერ კონსტანტინოპოლიდან 12,000 ფ. ფქვილის ჩამოტანის შესახებ (პირველი პარტია). დაადგინეს მიღებულ იქნეს საჩქარო ზომები. ხსენებული ფქვილის საქართველოში ჩამოსატანად. აბრეშუმის პარკის დამზადების გამო გადაწყვეტილია ნაოფიცრად საქონლის გაცვლის მიზნით სასწრაფოდ შეგროვილ იქნეს საქონლის რესურსები აბრეშუმის პარკის მწარმოებლებისათვის მისაცემად. აბრეშუმს შეაგროვებენ კოოპერატიული ორგანოების საშუალებით ცეკავშირის ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით.

სამეცნიერო პაექრობა. კვირას, 26 ივნისს, დღის 12 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი შენობაში დიაგნოსტიკურ კლინიკის ასისტენტი მ. წინამძღვარიშვილი დაიცავს სამეცნიერო ხარისხის მისაღებად დისერტაციას შემდეგ თემაზე: „მასალები ხონდროიტინ-გოგირდ-მჟავის ქიმიისა და შარდში აღმოჩენის შესახებ მუცლის ტიფის დროს“. ოფიციალურ ოპონენტებად გამოვლენ პროფესორები ა. ალადაშვილი და ვ. მალინუკი.

იუსტიციის სახალხო კომისარიატში. 14 ივნისს ყოფილმა იუსტიციის კომისარმა ამხ. ნაზარეტიანმა ჩააბარა თანამდებობა და კომისარიატი ახალ კომისარს ს. ქავთარაძეს, რომელიც 14 ივნისისავე შეუდგა თავის თანამდებობის შესრულებას.

მატარებლების მიმოსვლა თფილისი ერევანსა და ფოთი-ჭუთაის შუა. რკინის გზების ოფროსის განკარგულებით 17 ივნისიდან დანიშნულია თფილისსა და ერევანს შუა 1 წყვილი მატარებლის მიმოსვლა. № 4 თფილისიდან გავა თფილისის დროთი დილის 10 საათზე და 40 წ. სანაინიდან საღამოს 6 საათზე და 15 წ., გუმბრიდან ღამის 2 ს. 40 წ., ერევანში ჩავა დილის 9 ს. 55 წ. ერევნიდან უკან დაბრუნდება მატარებელი № 3 დღის 5 ს. 47 წ., გუმბრიდან ღამის 3 ს. 35 წ. სანაინიდან დილის 10 ს. 17 წ. და ჩამოვა თფილისში საღამოს 5 ს. 47 წ. ქუთაისსა და ფოთს შუა მატარებელი № 35 და 36 ივლიან შემდეგ რიგად ქუთაისიდან გავა დღის 3 ს. და 22 წ., ფოთში ჩავა საღამოს 7 ს. 34 წ. ფოთიდან გამოვა დილის 4 ს. 11 წ. ქუთაისში ჩავა დილის 8 ს. და 25 წ.

მე-11 კომისარიატის სამმართველო. ქ. თბილისის მილიციის მე 11 რაიონის კომისარიატის სამმართველო, რომელიც იყო მოთავსებული პავლოვის ქუჩა № 6, გადავიდა ახალ შენობაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 141.

თბილისის ბავშვების რაოდენობა. სახლის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ცნობების მიხედვით ა. წ. აპრილში თბილისში ითვლებოდა ბავშვები 0—16 წლამდე: მუშა-მოსამსახურეთა—26.154, დანარჩენ მცხოვრებთა—42.879 სულ 69.033. ვინაიდან ყველა სახლის კომიტეტებს არ წარმოუდგენიათ ცნობები, ეს ციფრი უნდა გადიდდეს 30 პროც.

ხელოვნება

„ოტელო“

ქართულმა დასმა, სახელმწიფო დრამის თეატრში, ხუთშაბათს, 23 ივნისს წარმოადგინა შექსპირის უკვდავი ტრაგედია „ოტელო“. ჩვენ გვინახავს ალ. იმედაშვილის „ოტელო“, მაგრამ გუშინდელი ოტელო სამწუხაროდ მოკლებული იყო იმ სიღრმეს და სიძლიერეს ტრაგიზმისას, რომლითაც ძალზე დაჭიმულია მავრის ნერვები შერყეული სიყვარულის გამო. განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებებში იმედაშვილი არ იყო დაკავშირებული ორგანიულათ თავის როლთან. მაგალითად: როცა ოტელო პირველათ იწამლება იმ გესლით, რომელიც სიკვდილს უდრის, ან როცა აუტანელ განზრახვით ემშვიდობება მძინარე საყვარელ არსებას, ან კიდევ, როცა საშინელი ეჭვით გაბოროტებული ემზადება განზრახვის შესრულებას, ან როცა ახრჩობს ლოგინში ატირებულ დეზდემონას და უფრო ამ აქტის შემდეგ, იმედაშვილმა, უნდა ითქვას: ვერ შესძლო სრულათ გადმოეცა ოტელოს სულის საშინელი ტკივილები და მწუხარება, რომელიც მას უფრო გაუორკეცდა დეზდემონას უკანასკნელი სიტყვებით და იაგოს სიყალბის გაგებით. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ იმედაშვილისაგან ყოველთვის მეტს მოვითხოვთ.

პლ. კორიშელი უფრო ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. მას აკლდა თითქმის ყველა თვისებები იაგოსი: გაიძვერობა, გველური ქცევა, ბოროტი სახის მრავალ-აზროვანი გამომეტყველება და გამოთქმის კომბინაციის შერჩევა. ხშირათ კორიშელი პროვინციალური კილოთი და სადა ჟესტებით აუფერულებდა იაგოს მოქნილ აზრსა და ბოროტ სიტყვებს.

ან. ქიქოძე სუსტი იყო: ღვთაებრივი, გულუბრყვილო, ქმრის სიყვარულით თავდავიწყებული და უკანასკნელათ ოტელოს გარდაწყვეტილებით სასოწარკვეთილი და შეშინებული დეზდემონა, მან ვერ განასახიერა სისრულით. დავითაშვილიც (კასის) და გიმელაურიც (როდერიკო) ვერ იყვნენ

პარტიული ცხოვრება

დუშეთის მაზრა.

იმ დროს, როდესაც „იატაკ ქვეშ“ გვიხდებოდა მუშაობა, როდესაც დახვრეტით და დატუსაღებით გვემუქრებოდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, მაშინ მეტ ხალისიანათ, მეტ ენერგიულად და აქტიურათ მუშაობდნენ პარტიაში ჩვენი ამხანაგები. დღეს კი როდესაც გვეღირსა საბჭოთა მთავრობა საქართველოში, როდესაც შეგვიძლია ლეგალურათ ვიმუშაოთ პარტიაში, მაშინ ჩვენი ამხანაგები რბილათ—გულ-ცივად ეპყრობიან პარტიას; რაშია საქმე? ნუ თუ ფიქრობენ ჩვენი პარტიული ამხანაგები რომ „რაზედაც ვიბრძოდით, რაზედაც ჩვენი ტენდენცია იყო მიმართული ის უკვე შესრულდა და აწი პარტიული მუშაობა არ არის საჭიროვო“. შეიძლება ქონდეს ასეთი წარმოდგენა ზოგიერთ ამხანაგებს, მხოლოდ დიდი გადამცდარია, დიდი დანაშაულობა მიუძღვის იმათ, ვინც პარტიულ მუშაობას გვერდს უხვევს და გაურბის, ეს ყოვლად მიუტევებელია. ერთ ჩვენს ამხანაგს ვეკითხები, რატომ პარტიაში არ მუშაობ მეთქი? ის მიპასუხებს რომ „განა ეს მუშაობა არ არის, რომ საბჭოთა დაწესებულებაში ვმსახურობო“. აი როგორი წარმოდგენა აქვთ ზოგიერთ ჩვენ ამხანაგებს; ის თუ მსახურობს სადმე 3—4 საათს დაწესებულებაში, მით იმან გააკეთა ყველაფერი და პარტიული მუშაობა არ არის მისთვის საჭირო. განა არ შეიძლება ერთ და იმავე დროს დაწესებულებაშიც და პარტიაშიც ვიმუშაოთ? თუ პარტია სუსტია, თუ პარტია გამაგრებული არა გვყავს და თავის სიმაღლეზე არ დგას, მაშინ საბჭოთა დაწესებულებაც ფუჭია; ყველაფერი პარტიიდან გამომდინარეობს, ყველაფერს პარტია ქმნის; ამისათვის უნდა უმთავრესი ყურადღების მიქცევა პარტიას, მეტი დრო და ენერგია უნდა გადავდვათ პარტიულ მუშაობისათვის; ნუ ვიკმარებთ ჩვენ მარტო ორ საათამდი მუშაობას დაწესებულებაში დანარჩენი დრო უნდა მოვახმაროთ პარტიას; ჩვენ პარტიული ამხანაგებისთვის დასვენება არ უნდა იყოს, ჩვენ უქმათ არ უნდა ვკარგავდეთ დროს, დღეს და ღამეს უნდა ვაერთიანებდეთ მუშაობით. მით უფრო დღეს, ვინაიდან ახლად დაბადებულ საბჭოთა საქართველოს გამაგრება გაძლიერება საჭიროა; დღეს უნდა შეუდგეთ ჩვენ 7 წლის ნანგრევების შენებას, დღეს უნდა შეუდგეთ ჩვენ ცხოვრების გაუმჯობესობას, ამიხათვის გვმართებს მოუსვენარი დაუღალავი მუშაობა. ეხლა გადავდივარ დუშეთის მაზრის პარტიულ ცხოვრებაზე.

როგორც მკითხველს მოეხსენება, დუშეთის მაზრა ეს იყო რევოლიუციონერთა ბუდე, დუშეთის მაზრის გლეხობამ განიცადა ყველაზე მეტი დარბევა, დახვრეტა და დატუსაღება ასეული ჩვენი ამხანაგებისა მენშევიკურ მთავრობიდან. სხვა უფრო მეტი დუშეთის მაზრას ყავდა რევოლიუციონური ამხანაკები. და დღეს კი არა მგონი რომ ასეთი ჩამორჩენილი იყოს რომელიმე სხვა კუთხე პარტიულ მუშაობაზე როგორიცაა დუშეთი. რატომ მოხდა ეს? იმისთვის რომ ის ამხანაგები რომლებიც პარტიული იყვნენ ყველა საბჭოთა დაწესებულებებში მსახურობენ. და პარტიულ მუშაობას კი ყურადღებას არ აქცევენ, თითქმის ჩამარხეს პარტიული მუშაობა, მიკეტეს სამაზრო კომიტეტის კარები და მოიკალათეს რევკომებში და სხვა დაწესებულებებში. თავი, პარტიული კომიტეტის ავტორიტეტი კი დასცინ ძირს. მართალია პარტიული ხელმძღვანელი ამხანაგები ნაკლებია საზოგადოთ მით უმეტეს დუშეთის მაზრაში, მაგრამ შეძლების და გვარათ შეიძლებოდა პარტიული მუშაობის გამოცოცხლება, მხოლოთ საჭირო იყო ინიციატივა ადგილობრივი ხელმძღვანელი ამხანაგების და ენერგია.

დღეს თითქმის ცოტათი გამოცოცხლება ეტყობა, რეგულიარულათ ეწყობა კვირაში ერთხელ პარტიული საზოგადო კრებები, ეწყობა შაბათობა მუდმივათ, ხშირათ მიდის წარმოდგენები, კონცერტ-მიტინგი და სხვა.

მადლობის ღირსია აქაური სცენის მოყვარენი, ვინაიდან დაუზარებლათ და ენერგიულათ ეწევიან მუშაობას რაც დიდ შთაბეჭდილების ახდენს ხალხში. არა უშავს ახალგაზრდა კომკავშირთა მუშაობასაც, მხოლოთ მათაც სჭირიათ ხელის შეწყობა და მეტი მომუშავენიც.

აგრეთვე საჭიროა გამოიგზავნოს ცენტრიდან პარტიულათ მომზადებული ამხანაგები როგორც ვაჟები აგრეთვე ქალებიც. საიდან ვიშოვოთ ჩვენ ასეთი ამხანაგები? მიპასუხეენ ცენტრში, მართალია არა გვყავს ჯერ-ჯერობით იმდენი პარტიულები რომ ყველა საბჭოთა დაწესებულებებს და პარტიასაც ჩამოხვდეს, მაგრამ შეიძლება მოიხსნას რამოდენიმე დაწესებულებიდან თითო-ოროლა ამხანაგები და გაიგზავნოს პროვინციებში (თუ თვით არ დაიზარებენ პროვინციაში მუშაობას) და მით გავამაგროთ და გამოვიცოცხლოთ პროვინციებში პარტიული მუშაობა, ამისათვის საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს პროვინციებს.

სერგო მეგრელიშვილი.

პროფესიონალურ კავშირებში

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კონფერენცია

7 ივნისის სხდომაზე მიწის განყოფილების მოქმედებეს შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. დანდურაოვი. თავის მოხსენებაში მან აღნ შნა, რომ მიწის განყოფილება შეიცავს რამდენიმე დარგს: ქალაქის, კომუნალი მეურნერობის—ქალაქის 22 სახლის 30 მაღაზიათ, 2 სასადილოთი, 2 აფთიაქით, 4 გარეჯითამასთან ერთად ამ სახლებს გარდა კომუნალი მეურნეობის გამგებლობაში ახლა გადადის საბჭოთა, საეკლესიო და სხვა სახლები, ქალაქის ბუდკები (118), რომლებიც იჯარითაა გაცემული ერთი წლის ვადით; 7 ქალაქის სასწორი, რომელთაგან 3 მუშაობს, სასწორები იჯარითაა გაცემული და მოიჯარადრეთ უფლება აქვთ მიცემული გადაახდევინონ საფუთო გადასახადი აწონილ საქონელზე. ამ მომენტში განყოფილებამ დაადგინა გადავიდეს იჯარის სისტემიდან ოჯახურზე, გაადიდოს გადასახადი და აიღოს იგი ნატურით, ორ ორი ბორანი, გვირაბი, რომელიც ღიაა ბოტანიკურ ბაღში უფასოდ შესასვლელად, ბაღები, ბაღჩა და ტყე. ბაღების სივრცე 30 დესეტინაა, ტყის 82 დეს. ამას გარდა 2 საცდელი ბაღი, ბაღჩებს და ტყეს პირდაპირ ჰიგიენური დანიშნულება აქვს, საჭიროა მათ გაფართოებას და შენახვას მიექცეს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ძაგრამ სამწუხაროთ წელს ვერ მოხერხდა სეზონის სამუშაოს შესრულება. ქონების გატაცების გამო, ბაღები არ გაუმჯობესებულა, პირ იქით დაზიანდნენ. მოსამსახურეთ მებაღეთ ეტყობათ სოფლისაკენ ლტოლვილება. მათ ადგილობრივ გასაჩერებლად საცხოვრებელ ბინათ მიუჩინეს სახლი საპიორის ქუჩაზე. მომხსენებლის აზრით ბაღები და ბაღჩები უნდა განათდეს და გაიღოს საღამოობით.

მეორე დარგი კომუნალი მეურნეობის რომელიც განსაკუთრებული ყურადღებას იწვევს კომუნალი მეურნეობისას არის ქალაქის მიწები.

თუ მივიღებთ მხედველობაში პროდუქტების ნაკლებობას, მაშინ საჭიროა ამ მიწებს მიეცესდიდი ყურადღება საექსპლოატაციოდ. ამ მიწებზე შეიძლება პურის დათესვა, ბოსტნის გაკეთება და სხვა.

როგორი იქნება მიწის პოლიტიკა, ეს საბოლოოთ არაა გამორკვეული შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა საადგილ-მამულო პოლიტიკა, რომლის ცხოვრებაში გატარებას ფიქრობს კომუნალი მეურნეობის საადგილმამულო განყოფილება. კერძოთ მომხსენებელმა განაცხადა, რომ ბაღებიდან და ბოსტნებიდან ნატურალური გადასახადის მოკრეფა გადაწყვეტილია დადებითად და სულ მცირე ანგარიშის მიხედვით, გადასახადმა უნდა მისცეს ქალაქს სულ ცოტა 140 მილიონი მანეთი. თუ ჭირნახულის ფასს 4000 მან. ვიანგარიშებთ.

შემდეგ მომხსენებელმა ამხ. ტყემალაძემ, რომელიც განაგებს უძრავ ქონებათა ქვეგანყოფილებას, მოიყვანა დაწვრილებითი ცნობები ქალაქის მიწების შესახებ და აღნიშნა, რომ სათესი მიწები ქალაქის ძლიერ ზარალობენ, რადგან ბუნებრივი სარწყავი არ აქვთ, დღემდე მიწებს, რომელიც კერძო პირებს ეძლეოდათ იჯარით, უმნიშვნელო შემოსავალი ჰქონდათ, წელს ქალაქის მიწების ნაწილი გადაეცა ქალაქის სასურსათო კომუნალი მეურნეობის გამგებლობაში ახლა გადადის საბჭოთა, საეკლესიო და სხვა სახლები, ქალაქის ბუდკები (118), რომლებიც იჯარითაა გაცემული ერთი წლის ვადით; 7 ქალაქის სასწორი, რომელთაგან 3 მუშაობს, სასწორები იჯარითაა გაცემული და მოიჯარადრეთ უფლება აქვთ მიცემული გადაახდევინონ საფუთო გადასახადი აწონილ საქონელზე. ამ მომენტში განყოფილებამ დაადგინა გადავიდეს იჯარის სისტემიდან ოჯახურზე, გაადიდოს გადასახადი და აიღოს იგი ნატურით, ორ ორი ბორანი, გვირაბი, რომელიც ღიაა ბოტანიკურ ბაღში უფასოდ შესასვლელად, ბაღები, ბაღჩა და ტყე. ბაღების სივრცე 30 დესეტინაა, ტყის 82 დეს. ამას გარდა 2 საცდელი ბაღი, ბაღჩებს და ტყეს პირდაპირ ჰიგიენური დანიშნულება აქვს, საჭიროა მათ გაფართოებას და შენახვას მიექცეს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ძაგრამ სამწუხაროთ წელს ვერ მოხერხდა სეზონის სამუშაოს შესრულება. ქონების გატაცების გამო, ბაღები არ გაუმჯობესებულა, პირ იქით დაზიანდნენ. მოსამსახურეთ მებაღეთ ეტყობათ სოფლისაკენ ლტოლვილება. მათ ადგილობრივ გასაჩერებლად საცხოვრებელ ბინათ მიუჩინეს სახლი საპიორის ქუჩაზე. მომხსენებლის აზრით ბაღები და ბაღჩები უნდა განათდეს და გაიღოს საღამოობით.

მეორე დარგი კომუნალი მეურნეობის რომელიც განსაკუთრებული ყურადღებას იწვევს კომუნალი მეურნეობისას არის ქალაქის მიწები.

თუ მივიღებთ მხედველობაში პროდუქტების ნაკლებობას, მაშინ საჭიროა ამ მიწებს მიეცესდიდი ყურადღება საექსპლოატაციოდ. ამ მიწებზე შეიძლება პურის დათესვა, ბოსტნის გაკეთება და სხვა.

როგორი იქნება მიწის პოლიტიკა, ეს საბოლოოთ არაა გამორკვეული შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა საადგილ-მამულო პოლიტიკა, რომლის ცხოვრებაში გატარებას ფიქრობს კომუნალი მეურნეობის საადგილმამულო განყოფილება. კერძოთ მომხსენებელმა განაცხადა, რომ ბაღებიდან და ბოსტნებიდან ნატურალური გადასახადის მოკრეფა გადაწყვეტილია დადებითად და სულ მცირე ანგარიშის მიხედვით, გადასახადმა უნდა მისცეს ქალაქს სულ ცოტა 140 მილიონი მანეთი. თუ ჭირნახულის ფასს 4000 მან. ვიანგარიშებთ.

შემდეგ მომხსენებელმა ამხ. ტყემალაძემ, რომელიც განაგებს უძრავ ქონებათა ქვეგანყოფილებას, მოიყვანა დაწვრილებითი ცნობები ქალაქის მიწების შესახებ და აღნიშნა, რომ სათესი მიწები ქალაქის ძლიერ ზარალობენ, რადგან ბუნებრივი სარწყავი არ აქვთ, დღემდე მიწებს, რომელიც კერძო პირებს ეძლეოდათ იჯარით, უმნიშვნელო შემოსავალი ჰქონდათ, წელს ქალაქის მიწების ნაწილი გადაეცა ქალაქის სასურსათო კომ-

---

აქამდის გამოურკვეველია. დასახულია მიზნათ ჭეტის რკინის მადნის ამოღების განახლება (ბორჩალოს მაზრა) და ჭატის რკინის მკეთებელ და თუჯის ჩამომსხმელ ქარხნების ამუშავება, რომელიც უკვე 40 წელია რაც უმოქმედოთა სდგას.

საფეიქრო მრეწველობა.

ფაბრიკის ხასიათის საფეიქრო მრეწველობა საქართველოში თითქმის არ არსებობს და ეს იმ დროს, როდესაც განვითარებული მეცხვარეობა იძლეოდა დიდძალ მატყლს, რომელიც გადიოდა საზღვარ გარეთ დასამუშავებლათ. რასაკვირველია ეს არა ანორმალური მოვლენაა და სახალხო მეურნეობის საბჭომ მიიღო უკვე ზომები კუშნირის ფაბრიკის ასამუშავებლათ და გასაფართოებლათ, რომელიც სდგას ამ ჟამად ნედლი მასალის უქონლობის გამო. შემდეგში, საფეიქრო მრეწველობამ უნდა მიიქციოს განსაკუთრებული ყურადღება, რადგანაც იგი შესაძლებელია საკმაოთ უზრუნველ ყოფილ იქნას ადგილობრივ ნედლი მასალით.

ტყავეულობის ქარხნები.

შედარებით უკეთეს პირობებშია ტყავეულობის ქარხნები, რომლებშიაც როგორც თბილისში, ისე პროვინციებში გრძელდება გადამუშავება მომარაგებული ნედლი მასალისა, რომელიც ეყოფათ მათ კიდევ რამდენიმე თვეს. ტყავეულობის განყოფილებამ აიღო თავის ხელში უდიდესი ქარხნები თბილისში, მაზრებში კი ადგილობრივმა ეკონომიურმა განყოფილებებმა. რომ ქარხნები უზრუნველყოფილ იქნნეს ნედლი მასალით მომავალშიც, ტყავეულობის განყოფილებამ შექმნა პარტიები ტყავის ნედლი მასალის მოსაგროვებლად და ხის ქერქის დასამზადებლად, რომელიც საჭიროა ტყავების გამოსაყვანი ექსენატებათვის. ეს, რასაკვირველია, დროებითია, სანამ სახალხო სასურსათო კომისარიატი არ მოაწყობს ნედლი მასალის მოსაგროვებელ აპარატს. ტყავის წარმოება შეიძლება ძლიერ განვითარდეს, რადგან საქართველოში საქონელი ბევრია. ქარხნები მოწყობილია კარგად, როგორც, მაგალითად, ადელხანოვის და

ამიტომ შეიძლება ვიქონიოთ იმედი მომავალში ამ საქმის სწრაფად განვითარებისა.

თამბაქოს წარმოება.

თუმცა თამბაქოს ქარხნები მუშაობს დღეს და აქვს ზოგიერთი მარაგი დამზადებული ნაწარმოებისა, და მთელი წლის სამყოფი ნედლი თამბაქოსი, მაგრამ ამ საქმეს დიდი უბედურება უქადს. მენშევიკების მთავრობის გაუფრთხილებელმა პოლიტიკამ სრულიად გაანადგურა მეთამბაქოება. თუკი რევოლიუციამდე საქართველოში თამბაქოს 15000 დესეტინა სჭიროდა, უკანასკნელ დროს იგი სრულიად აღარ არის, ბერძნების დიდი ნაწილი, მეთამბაქოები სრულიად გადასახლდნენ საქართველოდან. თამბაქოს მაგიერ სთესენ სიმინდს და ამის შედეგად 1921 წ. 15 ათასი დესეტინის მაგიერ თამბაქოს მხოლოდ 300 დესეტინა უჭირავს. თამბაქოს წარმოების აღსადგენად საჭიროა მეთამბაქოების აღორძინება.

ცენტრალური სამკერვალოები.

ყოველგვარი დაბრკოლების დაძლევით უმაღლესი სახალხო მეურნეობის საბჭოს პატარა განყოფილება ცენტრო-სამკერვალო ენერგიულ მოღვაწეობას ეწევა. მან საჭიროდ უწყების, სახალხო გვარდიის და ოფიცერთა საზოგადოების სამკერვალოები აიღო. ნაწილობრივ მოაწყო თავისი საკუთარი სახელოსნოები, რომლებიც წარმატებით მუშაობენ ჯარისა და საბჭოთა მოსამსახურეების საკერავებზე.

კვების განყოფილება.

სრულებით არაა ჯერ განვითარებული უმაღლესი სახალხო მეურნეობის საბჭოს კვების განყოფილება, რადგან საკვების ხასიათის წარმოება, სრულიად უკანონოდაა მიკუთვნილი სახალხო სასურსათო კომისარიატისადმი. ამით ირღვევა წარმოების ძირითადი პრინციპი, რომელზედაც აგებულია სახალხო მეურნეობის მთელი საბჭო.

მომარაგების საბჭოს და სახელმწიფოებრივ შენობათა განყოფილება, მოღვაწეობა.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით ეხება მომარაგების საბჭოსა და ქალ.

საალმშენებლო განყოფილებას. მან აღნიშნა რა ის სიძნელე, რომლის დაძლევა დასჭირდა მომარაგების საბჭოს, ამხ. ტორო შელიძემ განაცხადა, რომ დღეს მომარაგების საბჭო გადადის, ბოლოს და ბოლოს თავის მთავარ ფუნქციებზე და წარმოებათა საჭირო მასალით უზრუნველყოფაზე და ამასთან გარეშე საწარმოვო დაწესებულებათათვის ფაბრიკტების მოწოდებაზე. ჯერ-ჯერობით მოწესრიგებულია სავსებით სათბობი მასალით უზრუნველყოფის საქმე. რაც შეეხება ქალ. საალმშენებლო განყ. მოქმედებას, მომხსენებლის სიტყვით, ეს მუშაობა დაწყებულია მთელ რესპუბლიკაში.

გარდა იმ მუშაობისა, რომელსაც ქონდა ხასიათი მომარაგების მუშაობისა სახ. საალმშენებლო კომიტეტმა გააკეთებინა მთელი რიგი რთული ტეხნიკური სამუშაოსი ადგილობრივ გამოკვლევის საწარმოებლად იმგვარი გეგმის, პროექტის და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მხრივ. მთელი რიგი სრულიად დამთავრებული პროექტისა ჰიდრო-ელექტრონის სადგურისა და სხვა შენობების მოწყობის შესახებ, რომელთაც აქვთ დიდი ადგილობრივი მნიშვნელობა. ახლო მომავალში დაიწყებს განხორციელებას. უდიდესი მიზნებიდან, რომლის მოსაგვარებლადაც სწარმოებს მუშაობა დავასახელოთ: ქ. გორისა და სამხრეთ-ოსეთის აღდგენა და აგრეთვე ჰიდრო ელექტრონის სადგურების აგება მტკვარზე კასპთან, ყოდორის წყალზე ბათომთან, მდ. ყვირილაზე და აგრეთვე ხონისა, ონისა და სხვა ქალაქებისათვის. დასასრულ სახ. საალმშენებლო კომიტეტს მიზნათ აქვს საქართველოს ელექტროფიკაციის საერთო გეგმის შედგენა და საქართველოს წყლის ენერგიის გამოყენება.

უმაღლესი სახალხო მეურნეობის საბჭოს მოქმედების შედეგი.

წარსული პერიოდი უნდა ჩაითვალოს საორგანიზაციო ხანად, რომელიც ძლიერ არა-ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა. ამისდამიუხედავათ მცირე რამ გაკეთდა მაინც, სახელდობრ: 1) დასრულდა თვით უმაღლესი საბჭოს ორგანიზაცია და თუ თავიდან შიგ 1000 კაცამდე მუშაობდა, ახლა პრეზიდიუმმა იგი 30 პროც. შეამცირა, 2) დამყარდა კავშირი ადგილობრივ თავისთავად აღმოცენებული უმაღლესი სამეურნეო საბჭოს ორგანოებთან, 3) ანგარიშზე აღებულია და აღრიცხული რესპუბლიკის საზღვრებში არსებული მთელი დიდი წარმოებანი თავისი მოწყობილებით, 4) შემუშავებულია დეკრეტი წარმოების ნაციონალიზაციისა, 5) ფაქტიურად საბჭო უკვე ამუშავებს ყველა სანაციონალიზაციო წარმოებათა, 6) მოხდენილია მთელი რიგი გამოკვლევათა, შემუშავებულია პროექტი, და მიღებულია პრაქტიკული ზომები მხარის საწარმოვო ძალთა განსავითარებლად.

საბჭოს უახლოესი მიზნები.

ამ ჟამად უ. ს. მ. საბჭო შედის უკვე ინტესიურ და შემოქმედებით ცოცხალი მუშაობის ხანაში. მომავალში უნდა მოხდეს ერთი მთიელიანი სამეურნეო გეგმის შემუშავება. ამ გეგმის შემუშავება დაიწყება დაუყონებლივ და შეიძლება ამ მუშაობის პირველი პროექტი წარედგინოს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოთა პირველ ყრილობას.

უ. ს. მ. საბჭოს მოქმედების საფუძვლები.

თუ ნაადრევია ჯერ ლაპარაკი მთლიან სამეურნეო გეგმაზე, არაა ნაადრევი ლაპარაკი იმ საფუძვლებზე, რომელზედაც უნდა აშენდეს უ. ს. მ. საბჭოს საქმიანობა. საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში დამყარდა $3^1/_2$ წლის შემდეგ, ვიდრე რუსეთში. საქართველოს პროლეტარიატს, რომელმაც აიღო ხელში სახელმწიფოებრივი ძალა უფლება. თუმცა დახვდა სახალხო მეურნეობა ძლიერ ცუდ პირობებში, მაინც გაცილებით უკეთ პირობებშია, ვინემ ისინი, როგორშიაც იყო დღემდი და არის დღესაც რუსეთის პროლეტარიატი. იქ საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო მთელი სამი წლის განმავლობაში ძალის და შემოქმედობის მაქსიმუმი მოეხმარებიანა თავდაცვისათვის, გამანადგურებელი სამოქალაქო ომისათვის, შემოსეული უცხო ჯარების საწინააღმდეგოთ

მთელი სამწლის განმავლობაში რუსეთი ბლოკადას განიცდიდა, არ უშვებენ რუსეთში არც ერთი მხარიდან სრულიად არაფერს. ასე არაა საქართველოში. რუსეთის მაგალითმა დაარწმუნა საქართველოში მყოფ საბჭოთა სისტემის ველა მტერი, რომ შინაური ბრძოლის დაწყება უაზრობაა და უიმედოა.

ბათომის ნავთსადგურში თავისუფლად მოდიან უცხო გემები და კავშირი გარეშე ქვეყნებთან საქართველოს არ შეუწყვეტია. ამ რიგად, ჩვენ გაცილებით უკეთესს პირობებში ვართ, ვიდრე იყო რუსეთი და ამიტომაც ჩვენი ვალია სრულიად ვისარგებლოთ ამ უპირატესობით და არ დაუშვათ ის საშინელი ნგრევა, რომელშიაც აღმოჩენილ ჩავარდა რუსეთი. პირველ დღეებიდანვე ჩვენ მთელი ჩვენი რევოლიუციონური შემოქმედება უნდა მოვახმაროთ.

მშვიდობიან სამეურნეო აღმშენებლობას, რომელშიაც გადასვლა, რუსეთმა შესძლო მხოლოდ სამი წლის სამოქალაქო ომის შემდეგ, რომლის დროსაც მისი მრეწველობა უკვე დანგრეული აღმოჩნდა, ჩვენ ამ აღმშენებლობას უნდა მოვანდომოთ ჩვენი საუკეთესო ძალები და ამასთანავე სრულიად ვისარგებლოთ მთელი იმ გამოცდილობით, რომელიც ასეთი მძიმე შრომით მიიღო რუსეთის მუშათა კლასმა.

სასურველი იქნებოდა, რომ ჩვენ ამ მდიდარ და ჭკვის სასწავლებელ გამოცდილებისათვის გვერდი აგვეხვია. დანაშაული იქნებოდა რომ ჩვენი მუშაობა დაგვეწყო იმავ ნაბიჯებით, რასაც სდგამდა საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში 1917 წ. დამლევა და 1918 წელში.

ბევრი მათგანი, რომელმაც თავისი სამსახური შეასრულა, არ შეეფერება თანამედროვე პირობათ და ბევრი მათგანი ეხლა გვეჩვენება ანაქრონიზმათ, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ჩვენ აუცილებლად მონურად მივბაძოთ მას ყველაფერში, რაც ეხლა რუსეთში კეთდება. მაგრამ სულიერი კავშირი და საერთო შეხედულებანი აგრეთვე გვავალებს, ამას და ჯვარ ოსნუ

მიტეტს. საძოვარი ადგილები ეძლეოდათ მეჯოგეთ. კომუნალი მეურნეობის ორგანო თითონ მოაგროვებს თივას უმთავრესად ქალაქის ცხენების საკვებათ შემდეგ ამხანაგი ტყემალაძე ახასიათებს ბალების მდგომარეობას. იგი სთხოვს კონფერენციას აღიმაღლოს ხმა ბალების დასაცავათ და, წინააღმდეგია მათი საღამობით გახსნისა. ქალაქის სახლების შესახებ განაცხადა, რომ სახლებს დიდი ზიანი მოსდით უპატრონობით. შემდეგი მომხსენებელი ქალაქის მიწის მზომელი ამხ. ჩქოვანი დაწვრილებით აცნობს კონფერენციას მიწის მზომელთა განყოფილების მოქმედებას.

მომხსენებლის მოსმენის შემდეგ კრება გადადის მიწის საქმეების შესახებ შეკითხვების განხილვაზე. ამ კითხვებიდან უნდა გარიყოს ის, რომელიც შეეხებოდა იმას, თუ მუშების ორგანიზაციის რამდენმა ნაწილმა მიიღო ბოსტანი. ამხ. დანდურაოვმა აღნიშნა, რომ ბოსტნის ქვეშ მიწა მიეცა 25 ორგანიზაციას, მაგრამ რამდენი ბოსტანია მართლაც გაკეთებული, მან არ იცის.

მიწის განყოფილების მოქმედების შესახებ ხანგრძლივი კამათის შემდეგ, გამოვიდა ყრილობის თავჯდომარე ამხ. სერგეევი, რომელმაც თავის სტუდიაში აღნიშნა, რომ მიწის განყოფილება ჯერ კიდევ არ დაახლოებია თავის მოვალეობის ასრულებას. მწვავე საკითხი იმის შესახებ, რომ ქალაქის მიწები არ დარჩენილიყო დაუთესავი, უყურადღებოთაა დატოვებული და განყოფილებას არც კი აქვს ცნობა გაცემული მიწებში რამდენია დათესილი, თუმცა თესვის დრო უკვე გასულია. ამხ. სერგეევი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკაში არის მთელი სისტემა და გეგმა მუშებისათვის მიწების დარიგების, მაგრამ ეს პრაქტიკა არ ყოფილა გამოყენებული.

ამხ. დანდუროვმა უპასუხა, რომ მუშებს ეძებენენ ყოველგან, ბიუროს საშუალებით, მაგრამ ვერ ნახეს, რადგან საჭირო იყო დახელოვნებული მუშები. არავითარი საბოტაჟი არ ყოფილა და მიწის საკითხის გადაწყვეტასთან ახლო მისვლა არ შეიძლებოდა, რადგან მიწის პოლიტიკა ქალაქებში არაა გადაჭრილი საერთო მაშტაბით.

———

ფეიქართა კავშირში.

ფეიქართა პროფკავშირის გამგეობის სხდომაზე 15 ივნისს მოისმინეს მოხსენება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საფეიქრო განყოფილების შესახებ. დაადგინეს აღძრან საქართველოს პროფკავშირების საბჭოს წინაშე საკითხი მეურნეობის აღდგენისა და შინამრეწველობის ქვეკანყოფილების დახელქვეითებისა, ფეიქართა მთავარ განყოფილებისადმი, მ ეცეს წინადადება უკანასკნელს მიიღოს ზომები ნედლი მასალის მისაღებად ფაბრიკებისათვის. დაადგინეს აგრეთვე მოსწყონ სახელმწიფო საფეიქრო სახელოსნო, რისთვისაც უნდა ჩამოართვან ჩითახოვის ყოფილ ფაბრიკა.

———

„ნემსით მომუშავეთა“ კავშირში.

ნემსით მომუშავეთა პროფკავშირების გამგეობის სხდომაზე განხილულ იქმნა საკითხი ტარიფის დამტკიცების შესახებ სახაზინო და სამოქალაქო ტარიფისა. მისის შესაკერ და გასაჭრელ სამუშაოზე დაადგინეს: დამტკიცებულ იქნეს ტარიფი 50 პროც. მომატებით. შესაკერი და გამოსაჭრელი ნორმაც დამტკიცებული იქნეს ზოგიერთი შეწორებით, დაევალოს სატარიფო კომისიას განხილოს პრემიალური სისტემა და გადასცეს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

პროვინციაში

დუშეთის სამაზრო უპარტიო გლეხთა პირველი კონფერენცია.

შაბათს 11 ივნისს, ქ. დუშეთში თეატრის დარბაზში გაიხსნა დუშეთის მაზრის უპარტიო გლეხთა კონფერენცია. დესწრო 140 დელეგატი. მათ შორის კომუნისტები 17, დანარჩენი კი მშრომელი უპარტიო გლეხობისგან შესდგებოდა. მხოლოთ 2 გამოერია ფედერალისტი.

კონფერენცია გახსნა დუშეთის სამაზრო პარტიული კომიტეტის პასუხის მგებელ მდივანმა ამხ. ს. მეგრელიშვილმა. პრეზიდიუმის წევრებათ აირჩეს შემდეგი ამხანაგები ამხ. აფციაური, ს. მეგრელიშვილი, ფ. ცხომელიძე, ამხ. მორბედაძე და ამხ. ხუბიეროვი. კონფერენციის საპატიო წევრებათ არჩეულ იქნენ ამხ. ლენინი და ფ. მახარაძე. დუშეთის სამაზრო რევკომის და სამაზრო პარტიული კომ ტეტის სახელით მისალმენ კონფერენციას ამხ. დ. აფციაური და ს. მეგრელიშვილი.

მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს, საქართველოს კ. პ. ცენტრალურ კომ ტეტს, რუსეთის წითელ არმიას, მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ასლი ამხ. ცხაკაიას,

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა პირველ კონფერენციას.

ამის შემდეგ ვინაიდან საღამოს 9 საათიდან წარმოდგენა უნდა გამართულიყო კრება დაიხურა.

კონფერენციის მეორე დღე.

თბილისიდან გვესტუმრენ კონფერენციაზე დასწრებლათ ამხ. ბუდუ მდივანი, ს. ქავთარაძე და ლადო დუმბაძე

კონფერენცია გაიხსნა დილით 11 საათზე. შემოსული წინადადებისამებრ. ფეხზე ადგომით პატივი სცეს ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგებს, შესრულებულ მქნა სამგლოვიარო ჰიმნი.

კონფერენციას თავმჯდომარეობდა ამხ. მეგრელიშვილი, მდივნობდა ამხ. ცხოიელიძე.

რუსეთის შინაგან და საგარეო პოლიტიკაზე და მის დღემანდელ მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ბ. მდივანი, სანამ მოხსენებას შეუდგებოდა ამხანაგი მიესალმა კონფერენციის საქართველოს რევკომის სახელით. შემდეგ შეუდგა მოხსენებას. სხვათა შორის თავის მოხსენებაში ამხანაგმა სთქვა: ამხანაგებო, მენშევიკები ხმებს ავრცელებდნენ ხალხში, რომ „კომუნისტები და რუსეთის წითელი არმიელები კაცის ჭამიები არიანო“ რაოდენიმეს თქვენთანაც მართველობის სისტემაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ უნდა შეავსათ ერთბაშათ მოქნილი ფორმა, რომლის თანახმათ ყოველთვის ეს საკითხი გადაწყდება განსაზღვრულ მომქმედ შემთხვევათა პირობების მიხედვით, და არა განყენებულ განსაკუთრებულ მოთხოვნილებების მიხედვით. თუ ინტელიგენცია და ყოველი ხაზის „სპეციალისტები“, რომელთაც არ სურდათ შერიგებოდენ საბჭოთა წესწყობილებას რუსეთში, დიდხანს ერიდებოდნენ მუშაობას და ბრძოლით ხელში იბრძოდნენ მის წინააღმდეგ, ჩვენში ისინი ერთბაშათ და ხალისიანათ დგებიან სამსახურში. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მთელ ინტელიგენციას ეპვის თვალით დაუწყო ცქერა და ხელფეხი შეუკრა ისე, როგორც იძულებული იყო რუსეთის პროლეტარიატი ასე მოქცეულიყო, რომ ინტელიგენციის ჯიუტობა გადალახა. რასაკვირველია არა. და თუ საქართველოს ინტელიგენციამ რუსეთის სამი წლის გამოცდილებას ანგარიში გაუწია, მაშინ ჩვენც ცხოვრების ხმას ანგარიშს გაუწევთ. გიყოთ ჩვენ აქაც თამამნიც და რასაკვირველია ფრთხილათ, თუ რუსეთი 1918 წლიდან შეუდგა შრომის ყველა დარგის თანაბრად დაჯილდოვებას. ეხლა კი ამხ. ლენინის მიერ აღნიშნულია, რომ ძველი ლოზუნგი „ვინც არ შრომობს, არა სჭამს“, უნდა შეიცვალოს ახალით— „ვინც როგორ შრომობს, ის ისეე სჭამს“ ნუ თუ ჩვენ უნდა გვერდი აუხვიოთ ამ გამოცდილებას, ამ მაგალითს. ეს გაკვეთილები ჩვენ უდა შევითვისოთ, ერთბაშათ, რომ ტყუილ უბრალოთ არ დავკარგოთ მუშაობის დრო და რომ ჩვენი მუშაობა იმ პრაქტიკულ საფუძველზედ ავაშენოთ, რომელზედაც მას შეუძლია განვითარდეს ნორმალურად და მიგვიყვანოს ჩვენ მთავარი ამოცანის გარდ წყვეტამდე, რომელიც ერთნაირად სდგას რუსეთსა და საქართველოს წინაშე. ჩვენ არ უნდა შევცდეთ, არ უნდა გავადიდოთ ჩვენი ძალები. ჩვენ ძლიერები ვართ პოლიტიკურად, მაგრამ სუსტნი ეკონომიურად. სუსტნი ვართ ხალხითაც და ტექნიკური საშუალებებითაც და ვჯერნი ბთ რა ამას, ყველა ძალები უნდა ჩავითრიოთ, რომლებიც ზზად არიან საჭირო სამუშაოზე ჩვენთან მოვიდნენ, ტექნიკელები და ადგილობრივი და კერძო პირები. ჩვენ ჩვენ ყენებთ მათ განსაზღვრულ პირობებში, მივცემთ განსაზღვრულ ამოცანას, გაუწევთ მათ კანტროლს, მაგრამ ჩვენ მათ კარებს გავუღებთ და შევძლებთ მათ ჩათრევას. ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ, ვინაიდან ეს თვით ცხოვრების მოთხოვნილებაა. და ვაი იმას, ვინც ამას ვერ მიხვდება და ტრაბურს გაიგოს. საქართველოს წარმოებითი ძალა-გვნვითარება დაადგა ტ ძვერფასი ტანაა. აქ არის მუშაობა საჭირო. მუშაობას ენტუზიაზმით უნდა ვეწეოდეთ. ჩვენ პირველად შეუდექით ეხლა ცოცხალ მუშაობას სახალხო მეურნეობის დარგში. ჩვენ ეხლა ხელთ გვიჭერია მთელი სამეურნეო ორგანიზმი. ჩვენ მანქანებთან კი არა ვდგევართ მარტო არამედ საქმეც გვიპყრია. უეჭველია ჩვენ უკვე თელი რ გი შეცდომები ჩავიდენეთ და ჩავიდენთ კიდევ. ეს გრამ ჩვენ გვსურს დავეჯეროთ და გვჯერა, რომ შევისწავლით და შევ ძლებთ ამოცანის ასრულებას. საქართველოს მთელი პროლეტარიატი და მისი კლასიური ორგანოები, მისი მწარმოებელი პროფესიონალური კავშირები უნდა განიმსჭვალონ მუშაობისა და შემოქმედობის ენტუზიაზმით, რომ ძლიერი საწარმოო ძალთა განვითარების გარეშე არაა გზა სოციალიზმისაკენ. ქვეყანაში, სადაც მრეწველობა არ არის, შეუძლებელია სოციალიზმი და ამიტომ უწინარეს ყოვლისა უნდა განვითაროთ ძრეწველობა. ყოველი ზედმეტი მილიონი ფუთი ამოღებულ ქვანახშირისა, ყ ველი ზედმეტი ათასი ნაჭრი მანუფაქტურისა გვაახლოვებს ჩვენ აღთქმულ მიზნისაკენ. და ეხლა, როდესაც ხელი უფლება ჩვენს პროლეტარიატის ხელშია. ჩვენი შრომა, რაც გინდ იყოს, უკვე კატორღა კი არ არის ან ბედის უმადურ ება, არამედ საპატიო ვალი. ჩვენ ვიყვეთ იმ დიდ ისტორიულ როლისა, რომელსაც ჩვენ მოვკიდეთ ხელი, ღირსნი ვიყვეთ იმ დიდ ისტორიულ ხანისა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, არა როგორც მაყურებელნი, არამედ როგორც შემოქმედნი და მაშინ ჩვენ დავძლევთ ნგრევას, ყველა დაბრკოლებებს. ჩვენ მსოფლიო ისტორიაში გამოცდას ვიტანთ და ჩვენზეა დამოკიდებული დავიჭერთ მას თუ არა.

———

ჩვენ დელეგატები სამაზრო მშრომელ გლეხთა კონფერენციაზე მთელი დუშეთის მაზრის გლეხკაცობის სახელით მივესალმებიან და უძღვნით გულწრფელს ლაშს რუსეთის საბჭოთა წითელ არმიას, რომელიც შესდგება მშრომელი ხალხისაგან და რომელიც გამოდის მთელი მსოფლიოს მუშების და გლეხების გამანთავისუფლებლათ, უსურვებთ მათ ბრძოლაში გამარჯვებას და ამ გამარჯვებისათვის ჩვენი მთელი გლეხობა ახლათ განთავისუფლებული ბურჟუაზიისგან—მემამულეები და აგრეთვე მათი ლაქია მენშევიკური მთავრობის გაქეცვიდან ფიცსა ვსდებთ ყოველივე ლონისძიებას ვიხმართ რომ შეუწყოთ ხელი მათი ძვირფასი იდეების გამარჯვების, რომელიც არის მიქცეული მშრომელ ხალხის საკეთილ-დღეოთ.

გაუმარჯოს სახელოვან ძლევა-მოსილ წითელ არმიელებს, გაუმარჯოს მის ბელადს ამხ. ტროცკის.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას, და მის ბელადს ფ. მახარაძეს.

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს და მებრძოლ ამხანაგებს ლენინს, ტროცკს და ზინოვიევს.

კონცერენცია იხურება 3 ნ.ხევარ საათზე.

სერგო მეგრელიშვილი

———

შაბათობა ქ. სიღნაღში.

29 მაისს შაბათობის მომწყობ ორგანიზატორის მიერ მოწყობილი იქნა შაბათობა. აღსანიშნავია და ამავე დროს საკვირველია ის მოვლენა, რომ ქ. სიღნაღში რამდენჯერმე იყო გამართული შაბათობა, და არც ერთ მათგანში არ მიუღია სრულებით მონაწილეობა არც ერთს საბჭოთა მოსამსახურეს და მოქალაქეს, გარდა კომუნისტებისა. თუმცა მათთან იგზავნება ხოლმე შესაფერი მიწერილობა, რათა მათაც მიიღონ მონაწილეობა შაბათობაში, როგორც ვხედავთ გაზეთებიდან თითქმის ყველა ქალაქებში და სოფლებში, სადაც იმართება შაბათობა ღებულობენ მონაწილეობას ცოტათ თუ ბევრად უპარტიოთ ან სხვა პარტიის მოსამსახურენიც მოქალაქენი და სოც. ფედერალისტებიც კი.

სირცხვილი და ზიზღი სდგ. მოქალაქეებს, რომლნიც დღემდის თან ატარებენ არისტოკრატიულ მიდრეკილობას და უკადრისობას ფიზიკურ მუშაობაში.

შაბათობის მიზანი იყო ქალაქის მიმოსვლის სადგურების დასუფთავება, რომლებიც დიდხანს იყო გაუფუფთავებელი და დაგროვილი ათა-პაპის დროინდელი საქონლის განავალი და ნაგავით.

შაბათობამ ვერ შესრულა როგორც საჭირო იყო თავის დანიშნულება, ტრანსპორტის სიმცირის გამო. მუშაობის დროს უკრავდა ორკესტრი. შაბათელების სიხარულით აღტაცება ძლიერი იყო და ხაზეიმო ელფერი ედო შაბათობას.

გ. მესტიაშვილი.

———

ხოფ. ველის-ციხე.

ველის-ციხის სახალხო სახლში წაკითხულ იქნა ლექცია ჯანმრთელობის და გადამდებ სენის თემაზე ექიმ გ. გიუნაშვილის მიერ, რაზედაც ველის ციხის სახალხო სახლის დარბაზში დაესწრენ ექვსასამდე სულზედ მეტი მსმენელნი და გულმოდგინებით ისმენდნენ გიუნაშვილის ლექციას. მსმენელნი [illegible] ფილნი წაკითხულ ლექციათ. ლექციის დამთავრების შემდეგ [illegible] ბანი გამოიწვიეს სცენაზე გ. გიუნაშვილი. ველის ციხის საზოგადოება მოითხოვს რათა გამოგზავნილ ნი იქმნენ ლექტორები, რომლებიც გააცნობენ ველისციხის საზოგადოებას სხვა და სხ ა საყოფიმო და აგრეთვე პოლიტიკური თემებს რისათვისაც დიდ სურვილს გამოთქვამს ხალხი.

ჯოჯოხეთელი.

— საკითხი. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—სვერდლოვის ქ. 136, ოფიტერი „ნაძალადევი“, ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—ბელინსკის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი, კახეთის ხიდი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ბელინსკის ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—53

მე-5-